

შპს შპს დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
აუდიტორებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „ დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი
 “ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ლარში	31-12-2023	31-12-2022
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	5801	3129
გადახდილი ავანსები	68528	
გაცემული სესხები	228720	228720
მისაღები %	92155	64709
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	136896	157640
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	28570	1708
სულ მოკლევადიანი აქტივები	560670	455906
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	490547	162561
არამატერიალური აქტივები	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	490547	162561
სულ აქტივები	1051217	618467
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	587340	443672
საგადასახადო ვალდებულებები	50638	60402
ანარიცხები	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	637978	504074
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	89734	100000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	727712	604074
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	28500	99803
დაგროვილი ზარალი/მოგება	412681	-85410
დივიდენდის განაწილება	-117676	0
სულ კაპიტალი	323505	14393
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1051217	618467

გურამ ტატიშვილი
 გენერალური დირექტორი

შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის		
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება		
<i>ქართულ ლარში</i>	2023	2022
შემოსავალი	3122022	2778324
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(0)	(0)
საერთო მოგება	3122022	2778324
სხვა შემოსავალი	6318	14028
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(2657458)	(2475993)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(237)	(585)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი	470645	315774
ფინანსური შემოსავალი	27446	27446
ფინანსური ხარჯები	(0)	(0)
წლის მოგება/ზარალი	498091	343220
მოგების გადასახადის ხარჯი		
წლის მოგება ზარალი	498091	343220

**შპს „ დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი
“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება**

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი ”, საიდენტიფიკაციო ნომრით 445575672 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 2020 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია -საქართველო, ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა N129, კომერციული ფართი N5, სართული 2, ბლოკი "ა"

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მფლობელები იყვნენ:

ირინა მამაიაშვილი, 01008044997 – 25% , თამაზ ბალაძე, 61001000449-25%, ვახტანგ კაკულია, 42001008981-15% , გურამ დოლბაია, 42001000170-15%, სანდრო ცირეკიძე, 61001062255-10%, ანზორ ბუბუტეიშვილი, 01024027847-10%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების გაწევა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

**შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება**

- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობებით წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს 3.2766 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს 3.0976 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს 2.702(USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს 2.6894 (USD/GEL)

**შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.5. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილ ცვეთის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები

საექსპლუატაციო ვადა

მანქანა-დანადგარები	5-7
ინვენტარი	3-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა	3-7

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მარაგები	28570	1708
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	28570	1708

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გარემოება არსებობს საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ დებიტორული დავალიანება იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

**შპს „ დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი
 “ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო მოთხოვნები	136896	157640
სხვა მოთხოვნები	389403	293429
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	526299	1870069

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარისდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში .

სავაჭრო ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება).

სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი - შემოსავლების იმ ნაწილის დარიცხვა, რომელიც ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას ხდება დამატებითი ღირებულების თანხის გამოკლებით. ხოლო შემენილი აქტივების თუ მატერიალური ფასეულობების, ხარჯების ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას.

**შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი-ბათუმი“
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები. კომპანია მომსახურების იმ ნაწილში, რომელიც არ არის განთავისუფლებული დღგ-სგან შესაბამისად ბეგრავს ავანსებს და აღრიცხავს საგადასახადო გადასახადების აქტივებში.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს გადაფასების და უსასყიდლოდ მიღებული სახარჯი მასალის თანხებს .

2.10. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

- აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).
- საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

2.11. კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

3. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

3. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.